გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 91

2024 წლის 14 ივნისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ში მდებარე შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ში მდებარე შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმდებარედ გახშირებული საცობების და მოსალოდნელი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმდებარედ, საავტომობილო გზის გვერდულზე მარჯვენა მხარეს დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ში მდებარე შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმდებარედ, განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ში მდებარე შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმდებარედ, განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**